

მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყების შესახებ

2013 წლის 3 სექტემბრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლობის მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მაძიებლობის მსურველთა შესარჩევ კონკურსს.

წელს, იმ ქალაქების რიცხვს, სადაც პროგრამა 2012-2013 სასწავლო წელს ხორციელდებოდა მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა, დაემატა კიდევ სამი ქალაქი და რაიონული ცენტრი - მცხეთა (მცხეთა-მთიანეთი), ოზურგეთი (გურია), ამბროლაური (რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი).

2013-2014 სასწავლო წელს, მასწავლებლობის მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება **თბილისის, რუსთავის, მცხეთის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმისა და ამბროლაურის** საჯარო და კერძო სკოლებში. ამრიგად, 2013-2014 სასწავლო წელს მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა წარმოდგენილი იქნება საქართველოს ყველა რეგიონში, შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობის მიღების ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა მაძიებლობის პერიოდი გაიაროს თავისი რეგიონის ერთ-ერთ ქალაქში.

მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს თბილისის, რუსთავის, მცხეთის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმისა და ამბროლაურის რესურს-ცენტრებში და გაგრძელდება **30 სექტემბრის, 17.00 ჩათვლით**. მაძიებლობის მსურველთა დარეგისტრირება შესაძლებელია ყველა იმ მიმართულებით, რაშიც ჩატარდა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები.

მაძიებელთა შესარჩევი კონკურსი ითვალისწინებს შერჩევის სამ ეტაპს:

- I ეტაპი - რეგისტრაცია რესურს-ცენტრში (დოკუმენტაციის წარდგენა იმ ქალაქის/თბილისის რაიონის რესურს-ცენტრში, სადაც მაძიებლობის კანდიდატს სურს მაძიებლობის პერიოდის გავლა). რეგისტრაციის საფუძველზე, მაძიებლობის კანდიდატი მონაწილეობს კონკურსში : რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში, მას იწვევენ ერთ-ერთ სკოლაში, სადაც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობს გასაუბრებაში სკოლის კომისიის წინაშე.
- II ეტაპი - გასაუბრება. მაძიებლობის კანდიდატები განაწილდებიან იმ სკოლებში, სადაც შერჩეულია მენტორი. მაძიებლობის კანდიდატები გადიან გასაუბრებას სკოლის შესარჩევ კომისიასთან, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი რესურს-ცენტრის წარმომადგენელი და საგნის მენტორი. კომისია განსაზღვრავს მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსსა და ფორმას ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მაძიებლების შერჩევასთან დაკავშირებით.
- III ეტაპი - ოქმის წარმოდგენა სკოლის მიერ და ცენტრის ინფორმირება მაძიებლის/მაძიებლების შერჩევასთან დაკავშირებით.

მასწავლებლობის კანდიდატი რეგისტრაციის მიზნით რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- მასწავლებლობის მასწავლებლობის კანდიდატის რეგისტრაციის განაცხადი (დანართი #1)
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს;
- ავტობიოგრაფიას (CV);
- ერთ ფოტოსურათს (ზომით 3X4);
- მასწავლებლობის მასწავლებლის რეგისტრაციის საფასურის გადახდის
- დამადასტურებელ დოკუმენტს.

მასწავლებლობის მასწავლებლობის კანდიდატად რეგისტრაციის საფასური შეადგენს 25 ლარს. გთავაზობთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბანკო რეკვიზიტებს:

სს „ბაზისბანკი“

ანგარიშის ნომერი: GE09BS0000000000234935

SWIFT: CBASGE22

მომღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საინდეტიფიკაციო კოდი: 202 374 251

დანიშნულება: მასწავლებლობის პროგრამაში ჩართვის რეგისტრაციის მოსაკრებელი (აუცილებლად მიუთითეთ სახელი და გვარი)

თანხის გადარიცხვა ასევე შესაძლებელია ნებისმიერი სხვა ბანკიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პიროვნული მახასიათებლები:

- უმაღლესი განათლება;
- გამართულად მეტყველების და აზრის თავისუფლად გადმოცემის უნარი;
- ენერგიულობა და მოტივირებულობა.

აქვე გთავაზობთ მასწავლებლობის მასწავლებლობის კანდიდატის რეგისტრაციის განაცხადის ფორმას. განაცხადი უნდა შეივსოს მასწავლებლობის კანდიდატის მიერ და წარმოდგენილი იქნას რესურს-ცენტრში შესაბამის საბუთებთან ერთად.

გთავაზობთ იმ რესურს-ცენტრების მისამართებს, სადაც უნდა დარეგისტრირდნენ 2013-2014 სასწავლო წლის მასწავლებლობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველები:

თბილისი

- | | |
|-------------------|-----------------------------|
| • ვაკე-საბურთალო | იოსებძის ქ #50 (#161 სკოლა) |
| • ძველი თბილისი | კიევის 4 |
| • ისანი-სამგორი | ქეთევან წამებულის 40 |
| • დიდუბე-ჩუღურეთი | მირცხულავას 4 |

- გლდანი-ნაძალადევი დადიანის ქ.N28. (#112 საჯარო სკოლა)
- დიდგორი კოჯრის გზატკეცილი #25
- აფხაზეთი უზნაძის 68

რუსთავი	შარტავას ქ. #4
მცხეთა	აღმაშენებლის ქ. # 73
გორი	სტალინის ქ. #31
თელავი	ერეკლე მეორეს გამზირი #16
ახალციხე	კეცხოველის ქ.#6
ქუთაისი	რომევიჩის ქ.#2
ოზურგეთი	კოსტავას ქ. #1
ზუგდიდი	ზვიად გამსახურდიას ქ. #35
ფოთი	გორგასლის ქ.#37
ბათუმი	ნიკო ფიროსმანის ქ.#1
ამბროლაური	კობახიძის ქ. #7

ქვემოთ მოცემულ ბმულზე, გთხოვთ იხილოთ მასწავლებლობის მაძიებლობის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის განვლის წესი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლობის მაძიებლების რეგისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მაძიებლობის პერიოდის გავლის პირობებს